

საქართველოს პარლამენტი

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობის - მეურვეობის კანდიდატის შესარჩევა საპარლამენტო საკონკურსო კომისიამ დაასრულა მეურვეობის კანდიდატთა შერჩევის პროცედურები და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 209-ე მუხლისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობის - მეურვეობის კანდიდატის შესარჩევი საპარლამენტო საკონკურსო კომისიის დებულების შესაბამისად წარმოგიდგენთ კომისიის მიერ შერჩეულ შემდეგ მეურვეობის კანდიდატებს:


1. მარინა გიორგაძე
2. არინა თავაქარაშვილი
3. გიორგი იასაშვილი
4. ბელა კოპალიანი
5. ვასილ მაღლაფერიძე
6. ალექსი ნონიაძე
7. ლაშა ტულუში
8. ლია შავგულიძე
9. დონარა შონავა
10. ზაზა ხუციშვილი

წინამდებარე დოკუმენტს თან ერთვის კომისიის სხდომების ოქმები.

პატივისცემით,

ბაკურ ბაკურაძე

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს
წევრობის - მეურვეობის კანდიდატის შესარჩევი
საპარლამენტო საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე



საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობის - მეურვეობის კანდიდატთა
შესარჩევი საპარლამენტო საკონკურსო კომისია

სხდომის ოქმი №2

2022 წლის 5 აპრილი, 17:00 საათი
ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი N8
საქართველოს კონსტიტუციის დარბაზი
(ა კორპუსი, ოთახი 304)

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ბაკურ ბაკურაძე
2. მაკო ჯაოშვილი
3. მიხეილ ჯავახიშვილი
4. ეკა მელქაძე
5. ნინო მეუნარგია
6. ერმილე მესხია (ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებით)
7. გიორგი იმედაშვილი
8. გიორგი დავითური
9. მარიამ გოგოსაშვილი

დღის წესრიგი:

საკითხი 1: „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად, შემოტანილი საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვა.

საკითხი 2: საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობის - მეურვეობის კანდიდატების კონცეფციების საჯარო პრეზენტაციის დანიშვნა.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით კომისია გაეცნო შემოტანილ დოკუმენტაციას, კერძოდ, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობის - მეურვეობის მსურველი 12 კანდიდატის განაცხადებს და თანდართულ დოკუმენტებს.

დოკუმენტაციის შემოწმებისა და შესწავლის შემდგომ, კომისიამ კონკურსის მეორე ეტაპზე გადასვლასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილება მიიღო შემდეგი კანდიდატების მიმართ: ალექსი ნონიაძე, ლია შავგულიძე, არინა თავაქარაშვილი, ლაშა ტულუში, დონარა შონავა, მარინა გიორგაძე, ვასილ მალლაფერიძე, ზაზა ხუციშვილი, გიორგი იასაშვილი, გიორგი ჭანტურია.

ერთ-ერთი კანდიდატის, ბელა კოპალიანის საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვისა და შესაბამისი აქტის გაცნობის შემდეგ გაირკვა, რომ მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ვერ აკმაყოფილებს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, კერძოდ, მეურვეობის კანდიდატს უნდა ჰქონდეს 10 წლის მუშაობის გამოცდილება, მათ შორის, სულ ცოტა 5 წლისა – ჟურნალისტიკის, ადამიანის უფლებათა დაცვის, საფინანსო, ელექტრონული კომუნიკაციების, სახელოვნებო, სამწერლო ან/და სამეცნიერო-პედაგოგიურ სფეროში. აღნიშნულ შემთხვევაში, ბელა კოპალიანის მიერ, წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისას დგინდება, რომ მისი სამუშაო გამოცდილება, ვერ აკმაყოფილებს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ამდენად, კომისიის გადაწყვეტილებით, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობის-მეურვეობის კანდიდატის შესარჩევი საპარლამენტო საკონკურსო კომისიის დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ბელა კოპალიანს, რომელმაც არასრული დოკუმენტაცია წარმოადგინა, უფლება აქვს გამოსწოროს ხარვეზი არაუგვიანეს 6 აპრილის 18:00 საათისა.

გარდა აღნიშნულისა, კომისიამ ყურადღება გაამახვილა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობის-მეურვეობის კანდიდატის, გუგული მალრამის, 2022 წლის 4 აპრილის კორესპონდენციაზე, რომლითაც კანდიდატი ითხოვს, რომ მისი კანდიდატურა ამოირიცხოს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობის-მეურვეობის კანდიდატის შესარჩევი საკონკურსო სიიდან.

ამდენად, კომისიამ გუგული მალრამის პირადი განცხადების საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება და აღნიშნული პიროვნება ამოირცხა საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობის-მეურვეობის კანდიდატის შესარჩევი საკონკურსო სიიდან.


დოკუმენტაციის განხილვის შემდეგ, კომისიამ განსაზღვრა მეურვეობის კანდიდატების კონცეფციების საჯარო პრეზენტაციის თარიღი - 2022 წლის 07 აპრილი, 11:00 საათზე. პრეზენტაცია გაიმართება საზოგადოებრივი მაუწყებლის პირდაპირ ეთერში.

კომისიამ დაადგინა, რომ კანდიდატებს პრეზენტაციისთვის განესაზღვროს არაუმეტეს 10 წუთისა, რომლის შემდეგაც კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად არაუმეტეს 30 წუთისა გაიმართება დებატები.

დაევალოს კომისიის მდივანს, უზრუნველყოს საზოგადოებრივ მაუწყებელთან საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობის მეურვეობის კანდიდატების პრეზენტაციის/გასაუბრების შეთანხმება.

კომისიის თავმჯდომარე – ბაკურ ბაკურაძე

კომისიის მდივანი – მაკო ჯაოშვილი



ბ. ბაკურაძე
მ. ჯაოშვილი

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობის - მეურვეობის
კანდიდატთა შესარჩევი საპარლამენტო საკონკურსო კომისია

სხდომის ოქმი №3

2022 წლის 7 აპრილი, 11:00 საათი
ქ. თბილისი, მ.კოსტავას ქუჩა N68

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ბაკურ ბაკურაძე
2. მაკო ჯაოშვილი
3. ნინო მეუნარგია
4. ერმილე მესხია
5. ეკა მელქაძე
6. მარიამ გოგოსაშვილი
7. გიორგი დავითური
8. გიორგი იმედაშვილი

დღის წესრიგი:

საკითხი 1: საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობის - მეურვეობის კანდიდატის მიერ წარმოდგენილი საზოგადოებრივი მაუწყებლის განვითარების კონცეფციის განხილვა და მასთან გასაუბრება.

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობის - მეურვეობის კანდიდატს, ბელა კოპალიანს, კომისიამ დაუდგინა ხარვეზი, რომლის გამოსასწორებლად, კომისიის დადგენილების 5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად განესაზღვრა 24 საათი. ბელა კოპალიანმა, განსაზღვრულ დროში წარმოადგინა სამუშაოს დამადასტურებელი ცნობა, რითიც აღმოიფხვრა კომისიის მიერ დადგენილი ხარვეზი. შესაბამისად, ბელა კოპალიანმა მონაწილეობა მიიღო კანდიდატთა შერჩევის მეორე ეტაპზე.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით საკონკურსო კომისიამ გასაუბრება გამართა შემდეგ კანდიდატებთან:

1. მარინა გიორგაძე
2. არინა თავაქარაშვილი
3. გიორგი იასაშვილი
4. ბელა კოპალიანი
5. ვასილ მაღლაფერიძე
6. ალექსი ნონიაძე
7. ლაშა ტულუში
8. ლია შავგულიძე
9. დონარა შონავა
10. გიორგი ჭანტურია
11. ზაზა ხუციშვილი

საკონკურსო კომისიის სხდომის ტრანსლაცია გადაიცემოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის, ტელესკოლის საშუალებით.

საკონკურსო კომისიამ განიხილა კანდიდატების მიერ წარმოდგენილი საზოგადოებრივი მაუწყებლის განვითარების კონცეფციები, მოისმინა კანდიდატთა მოსაზრებები. კითხვა-პასუხის რეჟიმში გაიმართა დებატები კონცეფციებთან დაკავშირებით.

კანდიდატებთან გასაუბრების შემდეგ, კომისიის მიერ ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება და სხდომის დღის წესრიგს დაემატა შემდეგი საკითხი:

საკითხი 2: საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობის - მეურვეობის კანდიდატის კენჭისყრა, მის მიერ წარმოდგენილი საზოგადოებრივი მაუწყებლის განვითარების კონცეფციის განხილვისა და მასთან გასაუბრების შედეგად.

განხილვის შემდეგ კომისიამ კენჭი უყარა თითოეულ კანდიდატურას. ხმები გადანაწილდა შემდეგნაირად:

N	კანდიდატის გვარი, სახელი	დადებითი	უარყოფითი	თავი შეიკავა
1	მარინა გიორგაძე	5	3	0

2	არინა თავაქარაშვილი	7	0	1
3	გიორგი იასაშვილი	5	3	0
4	ბელა კოპალიანი	5	3	0
5	ვასილ მაღლაფერიძე	5	3	0
6	ალექსი ნონიაძე	8	0	0
7	ლაშა ტულუში	8	0	0
8	ლია შავგულიძე	6	1	1
9	დონარა შონავა	8	0	0
10	გიორგი ჭანტურია	3	3	2
11	ზაზა ხუციშვილი	8	0	0

კენჭისყრის შედეგად, მეურვეობის მსურველმა შემდეგმა კანდიდატებმა მიიღეს საკონკურსო კომისიის დებულებით განსაზღვრული ხმების საკმარისი ოდენობა (5 და მეტი ხმა): მარინა გიორგაძე, არინა თავაქარაშვილი, გიორგი იასაშვილი, ბელა კოპალიანი, ვასილ მაღლაფერიძე, ალექსი ნონიაძე, ლაშა ტულუში, ლია შავგულიძე, დონარა შონავა, ზაზა ხუციშვილი.

კომისიამ დაადგინა:

საქართველოს პარლამენტს წარედგინოს მეურვეობის მსურველი შემდეგი კანდიდატები:


1. მარინა გიორგაძე
2. არინა თავაქარაშვილი
3. გიორგი იასაშვილი
4. ბელა კოპალიანი

5. ვასილ მაღლაფერიძე
6. ალექსი ნონიაძე
7. ლაშა ტულუში
8. ლია შავგულიძე
9. დონარა შონავა
10. ზაზა ხუციშვილი

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს დაევალოთ შემაჯამებელი სხდომის ოქმის საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენა.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

კომისიის თავმჯდომარე: ბაკურ ბაკურაძე



ბ. ბაკურაძე

კომისიის მდივანი: მაკო ჯაოშვილი



მ. ჯაოშვილი

კომისიის წევრი: ეკა მელქაძე



ე. მელქაძე

კომისიის წევრი: ნინო მეუნარგია



ნ. მეუნარგია

კომისიის წევრი: ერმილე მესხია



ერმილე მესხია

კომისიის წევრი: მარიამ გოგოსაშვილი



მ. გოგოსაშვილი

კომისიის წევრი: გიორგი დავითური



გიორგი დავითური

კომისიის წევრი: გიორგი იმედაშვილი



გიორგი იმედაშვილი